


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

(IV კვარტალი, 2023)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ



„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.*

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2023 წლის ნოემბერში.


*იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს.

2023 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის **მთავარი მიგნებებია**:

- ❑ ქართველი ეკონომისტები **პოზიტიურად** აფასებენ საქართველოს **მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას**.
- ❑ მათი მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ ასევე **პოზიტიურია**.
- ❑ 2023 წლის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი საშუალოდ **6.2%-ს** შეადგენს.
- ❑ ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში **წლიური ინფლაციის მაჩვენებელი გაიზრდება**. 2023 წლისთვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ **3.9%-ია**.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა 64%-მა საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ **სამუშაო ძალის დეფიციტი** დაასახელა.
- ❑ რესპონდენტთა უმეტესობის (53%) აზრით, **ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის გაუმჯობესებამ** ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა IMF-ის მიერ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაზრდაში.
- ❑ **უნარების შეუსაბამობა** საქართველოში სიღარიბის დონის შემცირებისათვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად გამოკითხულთა 70%-მა დაასახელა.
- ❑ ყველა გამოკითხული ეკონომისტი ეთანხმება ან სრულად ეთანხმება IMF-ის **წუხილს საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით**.
- ❑ მთლიანობაში, გამოკითხულთა 76% ფიქრობს, რომ სებ-ის გარშემო ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მალა ან ძალიან მალა საფრთხეს უქმნის საქართველოში IMF-ის მხარდამჭერი პროგრამის გავრცელებას.
- ❑ რესპონდენტების აზრი მნიშვნელოვნად იყოფა სებ-ის მიერ გაცვლითი კურსის რევეზების საპასუხოდ მიღებულ ზომებთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 41% არ ეთანხმება სებ-ის გადაწყვეტილებებს, რადგან მიაჩნია, რომ ზომები **გადაჭარბებულია**, ხოლო 29% ეთანხმება, მაგრამ მიიჩნევს, რომ ისინი **საკმარისი არ არის** სიტუაციის ადეკვატურად გადასაჭრელად.
- ❑ რესპონდენტთა 53% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება სებ-ის გადაწყვეტილებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 10%-ზე შენარჩუნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბევრი რესპონდენტი (24%) არ არის დარწმუნებული, როგორ შეაფასოს ეს გადაწყვეტილება.
- ❑ 2023 წლის ოქტომბერში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის განახლების შემდეგ, გამოკითხულ ეკონომისტთა 64% ელოდება, რომ **ისრაელიდან ტურისტების დანახარჯების შემცირებას** ყველაზე დიდი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე.



საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, IV კვარტალი



გამოკითხვის თანახმად, 2023 წლის მეოთხე კვარტალში ქართველი ეკონომისტები დადებითად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. მათი შეფასება გაუარესდა როგორც 2023 წლის მესამე კვარტლის შეფასებასთან, ასევე, 2022 წლის მეოთხე კვარტლის შეფასებასთან შედარებით.

2023 წლის მეოთხე კვარტალში გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ დადებითია. მოლოდინი გაუმჯობესდა იმ ნეგატიურ პროგნოზთან შედარებით, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ 2023 წლის მესამე კვარტალში და საგრძნობლად გაუმჯობესდა 2022 წლის მეოთხე კვარტლის უარყოფით პროგნოზთან შედარებით.




გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- ❑ რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2023 წელს საშუალოდ 6.2%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პროგნოზი ემთხვევა წინა კვარტალში (2023 წლის მეორე კვარტალი) გაკეთებულ შეფასებებს.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა. 2023 წლისთვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 3.9%-ია.
- ❑ მომდევნო 6 თვის ბოლომდე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია, რომ ქართული ლარი გამყარდება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, ხოლო გაუფასურდება რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთან მიმართებაში.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტის მოცულობის ცვლილება არ არის მოსალოდნელი; და
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) რომელ საფრთხეებს მიიჩნევთ ყველაზე მწვავედ საქართველოს ეკონომიკისთვის 2023 წლის IV კვარტალში




გამოკითხვის ფარგლებში ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს ეკონომიკისთვის ამჟამად არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეები.

- ❑ მუშახელის დეფიციტი საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ შეაფასა გამოკითხულ ეკონომისტთა 64%-მა.
- ❑ გარდა ამისა, გამოკითხულ ეკონომისტთა თითქმის 53%-მა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლები მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ დაასახელა.
- ❑ ცხოვრების ხარჯების ზრდით გამოწვეული პრობლემები საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ გამოკითხულ ეკონომისტთა 47%-მა შეაფასა.
- ❑ გამოკითხულთა უმრავლესობას (65%) მიაჩნია, რომ მასობრივი მიგრაცია რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან დაბალი საფრთხეა ან საერთოდ არ წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს ეკონომიკისთვის.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა 47% რუსეთის ომს უკრაინაში საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალ საფრთხედ მიიჩნევს.
- ❑ გაცვლითი კურსის რყევები ზომიერ საფრთხედ შეაფასა რესპონდენტთა 41%-მა.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესებას




საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) World's Economic Outlook-ის ოქტომბრის გამოცემის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2023 წელს 6.2%-ით გაიზრდება, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 2.2 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია. ეკონომისტებმა შეაფასეს IMF-ის მიერ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესების შესაძლო ხელშემწყობი ფაქტორები.

- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა ნახევარზე მეტი (53%) ფიქრობს, რომ **ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის გაუმჯობესებას** მაღალი ან ძალიან მაღალი გავლენა ჰქონდა ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესებაზე.
- ❑ რესპონდენტთა 47% ფიქრობს, რომ **ფულადი გზავნილების ზრდამ** მაღალი ან ძალიან მაღალი გავლენა მოახდინა ეკონომიკური ზრდის პროგნოზის ცვლილებაზე.
- ❑ **მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები** IMF-ის გაუმჯობესებულ პროგნოზზე მაღალი გავლენის მქონე ფაქტორად დაასახელა გამოკითხული ეკონომისტების 41%-მა.
- ❑ რესპონდენტთა მესამედზე მეტი (35%) ფიქრობს, რომ **ინფლაციის მაჩვენებლის კლებამ** გავლენა არ იქონია საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზზე.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) მსოფლიო ბანკის პუბლიკაციაში "სისტემური ქვეყნის დიაგნოსტიკა საქართველოსთვის" ხაზგასმული სხვადასხვა გამონკვებები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას




მსოფლიო ბანკმა პუბლიკაციაში „ქვეყნის სისტემური დიაგნოსტიკა საქართველოსთვის“ ხაზი გაუსვა იმ გამონკვებებს, რომლებიც ხელს უშლის ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებას. ეკონომისტებმა შეაფასეს პუბლიკაციაში აღნიშნული გამონკვებები.

- ❑ გამოკითხულთა 70%-მა სიღარიბის დონის შემცირებისათვის მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ უნარების შეუსაბამობა დაასახელა.
- ❑ მაღალი ხარისხის სამუშაო ადგილების არასაკმარისი შექმნა ასევე მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ მიიჩნია გამოკითხულ ეკონომისტთა 70%-მა.
- ❑ რესპონდენტთა 64%-მა მიგრაციისა და მოსახლეობის დაბერების გამო შემცირებული სამუშაო ძალა ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებისათვის მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ შეაფასა.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა 35%-მა მედიკამენტების მაღალი ფასი და პირველადი ჯანდაცვის არასაკმარისი დაფინანსება მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ დაასახელა.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა უმრავლესობა (59%) ფიქრობს, რომ სოციალური პროგრამების ნაკლებობა სიღარიბის დონის შემცირებისათვის მხოლოდ ზომიერ საფრთხეს წარმოადგენს.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) თქვენი აზრით, რომელ ფაქტორებზე მოახდენს ყველაზე უარყოფით გავლენას საქართველოს ეროვნული ბანკის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენები



საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ IMF-მა გამოთქვა ნუხილი სებ-ის დამოუკიდებლობასა და სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებით.* ეკონომისტებს ვთხოვეთ, გამოეთქვათ აზრი IMF-ის ნუხილთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 100% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება IMF-ის მხრიდან გამოთქმულ შეშფოთებას.


ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს სებ-ის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისგან მომდინარე შესაძლო საფრთხეები.

- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა 76%-ის აზრით, ბოლო მოვლენები დიდ ან ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის IMF-ის მხარდამჭერი პროგრამის არსებობას საქართველოში.
- ❑ ეკონომისტების 59% აღნიშნავს, რომ **გაცვლითი კურსი და მონეტარული სტაბილურობა** მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის ქვეშაა.
- ❑ ქვეყანაში **ფინანსურ სტაბილურობას** მაღალი საფრთხის ქვეშ მიიჩნევს გამოკითხული ეკონომისტების 47%.
- ❑ გამოკითხულთა 41% მიიჩნევს, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მაღალ საფრთხეს უქმნის **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას**.

* საერთაშორისო სავალუტო ფონდი სებ-ის მიერ საერთაშორისო სანქციების აღსრულების შესახებ.



გამოხატეთ თქვენი აზრი სებ-ის მიერ გაცვლითი კურსის სტაბილიზაციისთვის მიღებულ ზომებთან დაკავშირებით



- მე სრულიად ვეთანხმები სებ-ის გადანყვეტილებას და მიმაჩნია, რომ გატარებული ღონისძიებები საკმარისია სიტუაციის გამოსასწორებლად
- ვეთანხმები სებ-ის გადანყვეტილებას, თუმცა მიმაჩნია, რომ განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია სიტუაციის ადეკვატურად მოსაგვარებლად
- მე არ ვეთანხმები სებ-ის გადანყვეტილებას, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ზომები გადაჭარბებულია
- მე სრულიად არ ვეთანხმები სებ-ის გადანყვეტილებას, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ზომები არაეფექტიანია
- არ მაქვს მოსაზრება


წინა კითხვებში აღწერილმა მოვლენებმა განაპირობა გაცვლითი კურსის რყევები, რამაც აიძულა სებ-ი მიეღო ზომები* სიტუაციის სტაბილიზაციისთვის. ეკონომისტებმა გამოთქვეს აზრი სებ-ის მიერ გატარებულ ზომებთან დაკავშირებით.

- გამოკითხულ ეკონომისტთა 41% არ ეთანხმება სებ-ის გადანყვეტილებას, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს ზომები გადაჭარბებული იყო.
- გამოკითხულთა 29% ეთანხმება სებ-ის გადანყვეტილებას, მაგრამ მიიჩნევენ, რომ მიღებული ზომები არ იყო საკმარისი სიტუაციის ადეკვატურად გადასაჭრელად.
- გამოკითხულთა 12% სრულიად არ ეთანხმება სებ-ის გადანყვეტილებას, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს ზომები არაეფექტიანია იყო.
- გამოკითხულთა 12% სრულად ეთანხმება სებ-ის გადანყვეტილებას, რადგან მიიჩნევენ, რომ მიღებული ზომები საკმარისი იყო სიტუაციის გამოსასწორებლად.

* სებ-ის სავალუტო აუქციონებზე ვაჭრობის დინამიკის მიხედვით, 2023 წლის 2 ივნისიდან 20 სექტემბრის ჩათვლით სებ-ს არ გაუყიდა აშშ დოლარი. თუმცა, 2023 წლის 20 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით სებ-მა 150 მლნ აშშ დოლარამდე გაყიდა.



მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი და საბაზო ინფლაცია 3%-იან ნიშნულზე დაბალია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10%-ზე შეინარჩუნა (2023 წლის 25 ოქტომბერის გადაწყვეტილება). გამოხატეთ თქვენი აზრი სებ-ის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.




- სრულიად ვეთანხმები
- ვეთანხმები
- არ ვარ დარწმუნებული
- არ ვეთანხმები
- სრულიად არ ვეთანხმები

მიუხედავად იმისა, რომ როგორც მთლიანი, ასევე საბაზო ინფლაცია 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10%-ზე შეინარჩუნა (2023 წლის 25 ოქტომბერის გადაწყვეტილება). ეკონომისტებმა გამოხატეს აზრი სებ-ის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

- სებ-ის გადაწყვეტილებას **ეთანხმება** გამოკითხული ეკონომისტების 41%.
- სებ-ის გადაწყვეტილებას გამოკითხულთა 24% **არ ეთანხმება**.
- გამოკითხულ ეკონომისტთა 24% **არ არის დარწმუნებული საკუთარ აზრში** სებ-ის გადაწყვეტილების შესახებ.
- სებ-ის გადაწყვეტილებას **სრულად ეთანხმება** გამოკითხულ ეკონომისტთა მხოლოდ 12%.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) რომელი არხებით შეიძლება, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტმა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე



2023 წლის IV კვარტალში ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტი განახლდა, რამაც რეგიონში უფრო დიდი ეკონომიკური გაურკვევლობა გამოიწვია. ეკონომისტებმა შეაფასეს სხვადასხვა გზა, რომლითაც კონფლიქტმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე.

- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა 64%-ს მიაჩნია, რომ **ისრაელიდან ტურისტების დანახარჯების შემცირება** დიდ ან ძალიან დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.
- ❑ რესპონდენტთა 59%-ის აზრით, **მოსალოდნელია, რომ ისრაელიდან ფულადი გზავნილების შემცირება** მაღალ ან ძალიან მაღალ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.
- ❑ გამოკითხულთა 35%-მა **ნავთობის ფასების მოსალოდნელი ზრდა** საქართველოს ეკონომიკაზე მაღალი ან ძალიან მაღალი გავლენის მქონე ფაქტორად დაასახელა.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა უმრავლესობას (59%) მიაჩნია, რომ კონფლიქტი **დაბალ გავლენას** მოახდენს საქართველოს **ეკონომიკურ ზრდაზე**.
- ❑ რესპონდენტთა 47%-მა კონფლიქტის შედეგად გამოწვეული **გაცვლითი კურსის შესაძლო რყევები** საქართველოს ეკონომიკაზე დაბალი გავლენის მქონე ფაქტორად დაასახელა.



ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

	2019	2020	2021	2022	2023 Q1*	2023 Q2*	2023 Q3*
ნომინალური მშპ (მილიონი აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9	18 629.4	24785.6	6304.6*	7686.4*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 023.2	6676.3	1,698.2*	2 070.4*	-
მშპ რეალური (%)	5.0%	-6.8%	10.5%	10.4%	8.0%*	7.8%*	-
ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	7.6%	1.6%	0.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ დოლარი)	1 352.2	589.0	1 241.8	2097.9	566.4*	505.7*	-
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	18.0%	16.7%	15.6%
საგარეო ვალი (მლნ დოლარი)	5 741	7 535	8 205	8 435	8 473	8 510	8 452
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.5%	21.3%	17.5%	15.6%	-	-	-

* წინასწარი მონაცემები

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

გემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

გიორგი ხიშტოვანი

კვლევითი დირექტორი

g.khishtovani@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი

უმცროსი მკვლევარი

a.chkhenkeli@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი

კვლევითი ასისტენტი

g.tsukhishvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტ: pmcresearch.org